პროლეტარელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარტიული

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორდენიანი ორგანო
გამოცემის 31 წელი

АВАНГАРДИ Орган Цхакаевского райкома КП Грузии и Райсовета депутатов трудящихся

№ 34 (2.428) კვირა, 18 მარტი, 1956 წ. ფ. 15 კ

საჯარო ბიბლიოთეკა

ᲙᲠᲘᲚᲝᲒᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲒᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲒᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲐᲩᲐᲚᲝᲜ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ, ᲒᲐᲐᲣᲛᯯᲝᲒᲔᲡᲝᲜ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲒᲐ ᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲐᲛᲐᲦᲚᲝᲜ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲜ ᲘᲒᲘ ᲘᲛ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲡ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔ-20 ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲓᲐᲜ
ᲡᲙᲙᲕ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲝ ᲛᲝᲬᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

მივაღწიოთ 1956 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას

მეოცესე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 კრებების დირექტივებში დასახულია სოფლის მეურნეობის განვითარების დიადი პროგრამა. კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების და კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში უდიდეს როლს ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ" და „კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ".

ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებებს და ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირის მონაწილეების მიმართვა რაიონის ყველა კოლმეურნის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი. რაიონული თათბირის მონაწილეებმა იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებანი 1956 წელს სოფლის მეურნეობის მკვეთრად აღმავლობისათვის და რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს სიამაყით მოწოდებით—ჩაებან 1956 წელს—მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადაეჯრებებით შეასრულონ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო გეგმები, მისცენ ქვეყანას მეტი სიმინდი, ჩაი, ყურძენი, აბრეშუმის პარკი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.

ცხაკაიას რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გეგეჭკორის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები.

ახლა ჩვენს წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა—საკოლმეურნეო სოფლის თვითეულ მშრომელს ფართოდ გავაცნოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, უზრუნველვყოთ მათ მიერ კონკრეტულ ვალდებულებათა აღება და სისტემატური შემოწმებით, მასების მტკიცედ დარაზმვით ვიბრძოლოთ ნაკისრ ვალდებულებათა უეჭველი შესრულებისათვის. წელს არ უნდა განმეორდეს გასული წლების მავნე პრაქტიკა, როცა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება იშვიათად ან ზოგჯერ სულ არ ხდებოდა, აგრეთვე არ სწარმოებდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის პოპულარიზაცია. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. ისინი ვალდებული არიან სისტემატურად შეამოწმონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა, განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება, ულმობლად ამხილონ ჩამორჩენილები.

ამჟამად სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მთელი არსენალი მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ სკკპ მე-20 კრებების მასალების თვითეული მშრომელისათვის გაცნობა მჭიდროდ დაუკავშირდეს გეგმიურ დავალებათა შესრულების ამოცანებს. აგიტატორები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის ინიციატორები უნდა იყვნენ.

ფართოდ გავაზიოთ სოციალისტური შეჯიბრება, კოლმეურნეებისადმი, სოფლის მეურნეობის თვითეული მუშაკისადმი პარტიისა და მთავრობის დაუღალავ ზრუნვას ვუპასუხოთ ახალი წარმატებებით სოფლის მეურნეობის პროდუქტის სიუხვისათვის ბრძოლაში!

საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომში

1956 წელს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და რაიონული ქიურის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი 1956 წელს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და რაიონული ქიურის დამტკიცების შესახებ და მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. მოწონებულ იქნას რაიონას სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიერ აღებული ვალდებულებანი მიმდინარე სამეურნეო წელს ყველა სახოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით დამთავრებას, მეცხოველეობის პროდუქტიულობას, სულადობის ზრდისა და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

2. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს და საკოლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციებს:

ა) ფართოდ გააცნონ კოლმეურნეებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიერ აღებული ვალდებულებანი, გაზაფხულის შეჯიბრება დარგებისა და კულტურების მიხედვით, ჩაბან მასში ყველა კოლმეურნე და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, აიღონ კონკრეტული ვალდებულებანი და მიაღწიონ მის უცილობლივ შესრულებას.

ბ) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს და საკოლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების პერიოდულად შემოწმებისათვის და მოწინავეთა გამოსავლინებლად შექმნან ქიურა 5-7 კაცის შემადგენლობით.

გ) მოწინავე ბრიგადების, რგოლების, მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმის მუშაკების და კოლმეურნეთა წახალისების მიზნით დაიწესონ გარდამავალი წითელი დროშები და სხვა ჯილდოები. ქიურის მეშვეობით პერიოდულად შეამოწმონ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და შედეგები გააცნონ კოლმეურნეებს.

3. მოწონებულ და მიღებულ იქნას რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიერ მიმდინარე სამეურნეო წელს ყველა სახოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და სხვა ვალდებულებათა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად გეგეჭკორის რაიონთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმა.

4. 1956 წელს რაიონის კოლმეურნეობებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგების შესაჯამებლად შეიქმნას რაიონული ქიურა შემდეგი შემადგენლობით:

დ. ბაღათურია (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ქიურის თავმჯდომარე). გ. მორჩილაძე (მტს-ის დირექტორი), ვ. კუპრავა (საქართველოს კ. პ. ცხაკაიას რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში), ვ. ეჯიბია (საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის მდივანი), ვ. წერეთელი (გაზეთ „ავანგარდის" რედაქტორი), ნ. კაკაშვილი (საქართველოს კ პ ცხაკაიას რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე), ა. გუგუნავა (მტს-ის მთავარი ზოოტექნიკი), ვ. მზარელუა (რაიაბრეშუმის გამგე), ა. გვახალია (მტს-ის აგრონომი ჩაის დარგში), კ. შარტავა (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე), ნ. ბარამია (ძველი ხენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი).

5. დაევალოს რაიონულ ქიურს სახოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადებისა და კულტურების მიხედვით შეამოწმოს კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობა, მიიღოს და გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა წარმატებით გაანაღდონ აღებული ვალდებულებანი, ამასთან მოწინავეთა მიმართ გაატაროს წამახალისებელი ღონისძიებანი.

6. 1956 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობათა წახალისებლად დაწესდეს საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშები:

ა) მეცხოველეობის, მეფრინველეობის ხულადობის, პროდუქტიულობის და ხალხმეწიფო ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ბ) ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის, ჩაის პლანტაციების დამუშავების ხარისხიანი წარმატებების მიპოებისათვის.

გ) ერთწლიანი კულტურების თესვის, მოვლა-დამუშავების და მაღალი მოსავლიანობის მიღებისათვის.

დ) მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის საქმეში განსაკუთრებულ წარმატებათა მოპოებისათვის.

7. რაიკომის ბიურო საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ხათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა მეურნეობების, მტს-ისა და კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების საქმეს, უზრუნველყონ ამ საქმისადმი ქმედითი ხელმძღვანელობა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა.

8. დაევალოს გაზეთ „ავანგარდის" რედაქციას სისტემატურად შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებენ რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ი 1956 წლისათვის სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და უზრუნველყოს მასალების სისტემატური გაშუქება გაზეთში.

9. რაიონებს შორის შეჯიბრების შედეგების შემოწმება ეთხოვოს გაზეთების „ზარი ვოსტოკისა" და „კომუნისტის" რედაქციებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საამინისტროს.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ ᲒᲚᲝᲕᲝᲒᲡ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 14 მარტი. (საკდესი). დღეს ვარშავა შეხვდა პოლონელი ხალხის დიდი შვილის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბოლესლავ ბერუტის ცხედარს.

დილაადრიანივე ცენტრალური აეროდრომისაკენ, რომელიც ქალაქს დაშორებულია, მიდიოდნენ პოლონეთის დედაქალაქის მცხოვრებთა დიდი ჯგუფები, მათ მიჰქონდათ სამგლოვიარო ალმები, მიჰქონდათ თავიანთი საყვარელი მეგობრის, სოციალიზმის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლის ამხანაგ ბერუტის შავ ლენტებით შემოვლებული პორტრეტები.

ძაძებშია ცენტრალური აეროდრომი „ოკენჩე". აქ მოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ა. ზიავდსკი, ი. ცირანკევიჩი, კ. როკოსოვსკი, ე. ოხაბი, ზ. ნოვაკი, გ. მინცი, ი. ბერმანი, ფ. იუტკევიჩი, ფ. მაზური, ვ. დვორაკოვსკი, გ. ხამბროვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვ. მატვინი, ე. მორავსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, ამხ. ბოლესლავ ბერუტის დაკრძალვის მომზადებისა და ჩატარების კომისიის წევრები, ესწრებიან საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, რომლებიც აკრედიტებული არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

10 ათასზე მეტი მშრომელი შეიკრიბა აეროდრომზე.

12 საათი და 45 წუთია ვარშავის დროით. თვითმფრინავი ძირს ეშვება. თვითმფრინავიდან გამოაქვთ მრავალი გვირგვინი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა კუბო განსვენებული ბოლესლავ ბერუტის ნეშტით ფრთხილად გამოიტანეს და დაასვენეს სპეციალურ მანქანაზე. გაისმის სამგლოვიარო მუსიკის მელოდიები. საპატიო ყარაულმა მწყობრი ნაბიჯით ჩაიარა კუბოს წინ და სამუდამო პატივი სცა განსვენებულს.

ორკესტრი ასრულებს პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

სამგლოვიარო პროცესია აეროდრომიდან ნელა მიემართება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობისაკენ, სადაც დაასვენებენ კუბოს ბოლესლავ ბერუტის ნეშტით. მანქანები ნელა მიდიან ვარშავის ქუჩებით. გზის ორივე მხარეზე დგას პოლონეთის დედაქალაქის ათეულ ათასობით მშრომელი. აქ არიან სამრეწველო საწარმოების მუშები, ქალები, ახალგაზრდობა, ბავშვები. ისინი მწუხარე დუმილით დგანან. ბევრს თვალზე ცრემლი აქვს.

მწუხარების ამ დღეებში მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავენ თავიანთ რიგებს სახალხო-დემოკრატიულ პოლონეთში სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის ბრძოლაში.

სამგლოვიარო პროცესია უახლოვდება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობას, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები იღებენ კუბოს განსვენებულის ნეშტით და მიაქვთ იგი სპეციალურ პოსტამენტზე. რამდენიმე საათის შემდეგ დაიწყება მშრომელთა შესვლა ბოლესლავ ბერუტთან გამოსათხოვრად.

საფრანგეთში ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამგლოვიარო მოხსენება პარტიის XX ყრილობისადმი

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთში ასიათასი ცალი ტირაჟით ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამგლოვიარო მოხსენება პარტიის მე-20 ყრილობისადმი. როგორც გახდეთ „ლუმანიტე" იუწყება, ბროშურამ ფრანგი მშრომელების დიდი ინტერესი გამოიწვია. (საკდესი).

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1956 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის!

მ ი მ ა რ თ ვ ა

ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებისა რაიონის ყველა კოლმეურნის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!
შესანიშნავ დღეებში შრომობს საბჭოთა ხალხი. ახლახან მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კპ მე 20 ყრილობამ, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც სერიოზული ეტაპი ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.
ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელი თავდადებით იბრძვის პარტიის მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამ ისტორიულ დოკუმენტებში, რომლებიც ერთსულოვნად მოიწონეს მშრომელთა ფართო მასებმა, ასახულია საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესები, მოცემულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიადი პროგრამა.
ცხაკაიას რაიონის მშრომელები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებაში, მოწოდებული არიან კვლავაც დაუღალავად იბრძოლონ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ მნიშვნელოვანი საქმე და ამისათვის ძალები არ უნდა დავიშუროთ.
რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-მა შარშან მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს. მარცვლეულის საშუალო საჰექტარო მოსავალი 1954 წელთან შედარებით 14 პროცენტით გაადიდეს, რძისა — 2,5-ჯერ. წარმატებებია მოპოებული ჩაის დარგშიც. კოლმეურნეობებმა აგროტექნიკური ღონისძიებების კარგად გატარების შედეგად გასულ წელს მოკრიფეს 2.448.142 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად დაგეგმილი 2.228.000 კილოგრამისა. ახლა ჩაის უხვ მოსავალს იღებენ არამარტო ცალკეული ბრიგადები და რგოლები, არამედ რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები.
რაიონის მეაბრეშუმეებმა გასულ სამეურნეო წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 157.469 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 149.000 კილოგრამისა.
მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ტუნგოს ნაყოფისა და ყურძნის დამზადების გეგმები.
მტს-მა 1955 წელს კოლმეურნეობებში მოხნა რბილ ხვნაზე გადაყვანით 28.648 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით მიცემული 26.000-სა.
სულ უფრო დიდდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, დღითიდღე იზრდება კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი. შარშან კოლმეურნეობებმა მიიღეს 1,38 პროცენტით მეტი შემოსავალი ვიდრე 1954 წელს.
რაიონის 31 კოლმეურნეობიდან 1955 წელს 10 მა კოლმეურნეობამ ერთი მილიონიდან 5 მილიონ მანეთამდე ფულადი შემოსავალი მიიღო.
მიღწევები უდაოდ მეტი გვექნებოდა, რომ ყველა კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაცია კარგად იყოს მოწყობილი და თვითეული კოლმეურნე აქტიურად იბრძოდეს გეგმიურ დავალებათა შესრულებისათვის. რაიონში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, სადაც ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო თავის დროზე და მაღალხარისხოვნად არ სრულდება. მთელი რიგი კოლმეურნეობები ვერ ასრულებენ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გეგმებს.
საგრძნობი ჩამორჩენაა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. შარშან არ შეგვისრულებია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის, რძის მიღების და კვერცხების გეგმები. ბევრ კოლმეურნეობაში ძალზე დაბალია ეთერზეთოვანი, ვენახის და ზოგიერთი სხვა კულტურის მოსავლიანობა.
საბჭოთა კავშირის კპ მე-20 ყრილობამ ამოცანად დაგვისახა შეუნელებელი ენერგიით ვიმუშაოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის.
ვითვალისწინებთ რა სოციალისტურ შეჯიბრების დიდ მამოძრავებელ ძალას, ჩვენ, ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილენი მოგიწოდებთ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1956 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენის მხრივ ვკისრულობთ შემდეგი სახის ვალდებულებებს:

მარცვლეული კულტურების დარგში

1. სიმინდისა და სხვა კულტურების მაღალი მოსავლის მიღების მიზნით ავითვისებთ 300 ჰექტარ ნასვენ და ყამირ მიწებს. ამ სამუშაოს დავამთავრებთ 20 მარტამდე. 1956 წელს საყანე ფართობებზე გავიტანთ 35.440 ტონა ორგანულ სასუქს (ნაკელს).
2. საგაზაფხულო კულტურებს დავთესავთ საუკეთესოდ მოხნულ და დამუშავებულ ფართობებზე აგროტექნიკურ ვადებში, მაღალმოსავლიანი, ხარისხოვანი და ჯიშიანი თესლით. სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად [...] 4600 ჰექტარზე. მწკრივად თესვას დავამთავრებთ [...] თესავთ 500 ჰექტარზე. [...] მაისამდე.
3. სიმინდის ყანების გათოხნა კულტივაციას ჩავატარებთ 2-ჯერ. [...] ველ გათოხნას დავამთავრებთ 10 ივნისამდე, მეორე გათოხნას — 20 ივლისამდე [...]
4. თვითეულ ჰექტარზე შევინარჩუნებთ სულ მცირე 30-40 ათას [...] მცენარეს. წუნწუხით დამატებით გამოვკვებავთ 1.500 ჰექტარ ნათესს, [...] ლოვნურ დამტვერვას მოვაწყობთ სულ მცირე 2.000 ჰექტარზე.
5. ყოველმხრივ მოვემზადებით მოსავლის აღებისათვის და ამ მეტად მნიშვნელოვან კამპანიას დავამთავრებთ 7 ნოემბრამდე.
6. აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ზუსტად გატარებით თვითეული ჰექტარი ნათესი ფართობიდან მივიღებთ 19 ცენტნერ [...] მინდს, 9 ცენტნერ სოიოს და 8 ცენტნერ ლობიოს.

მეცხოველეობის დარგში

1. გადაჭრით გავაუმჯობესებთ პირუტყვის მოვლა-პატრონობას, [...] ძოლებთ მისი ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის წლიურ გეგმას შევასრულებთ 100 პროცენტით. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მივიღებთ 35,3 ცენტნერ ხორცს.
2. წველადობის გადიდების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას [...] ვაქცევთ პირუტყვის წესიერ კვებასა და მოვლას, მაღალპროდუქტიული [...] ხების ბაგურ კვებაზე შენახვას. მინიმუმამდე დავიყვანთ ძროხების ბერწიანობას, თვითეული საფურაჟე ძროხიდან მივიღებთ 737 კილოგრამ რძეს, ხოლო ძველისენაკის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში — 2.500 კილოგრამ რძეს, სულ რაიონში 1956 წელს მოვწველით 1.870.000 კილოგრამს, ხოლო ძველისენაკის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში 75.000 კილოგრამს, მათ შორის აპრილში — 162.000 კილოგრამს, მაისში — 243.000, ივნისში — 324.000, ივლისში — 324.000, აგვისტოში — 243.000, სექტემბერში — 194.400 კილოგრამს.
3. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მეღორეობის განვითარებას. 100 პროცენტით შევასრულებთ ღორების სულადობის ზრდის წლიურ გეგმას. 1956 წელს გავასუქებთ სულ ცოტა 1.215 ღორს. ეს საშუალებას მოგვცემს 100 ჰექტარ ნახნავზე კოლმეურნეობებში მივიღოთ 10,3 ცენტნერი ღორის ხორცი, 1956 წლის 7,93 ცენტნერის ნაცვლად. თვითეული დედალი ღორიდან მიმდინარე წელს კოლმეურნეობაში საშუალოდ მივიღებთ 12, ხოლო საბჭოთა მეურნეობაში 20 საქმიან გოჭს. მოვაწყობთ გასასუქებლად დაყენებული ახალგაზრდა ღორების ერთჯერად დაგოჭიანებას
4. მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. სასილოსედ სიმინდს დავთესავთ 487 ჰექტარზე. გარდა ამისა, დავთესავთ საკვებ ძირხვენებს და საკვებ გოგრას, კომბოსტოსა და საზამთროს 266 ჰექტარზე, სათიბ და საკვებ ბალახებს 743 ჰექტარზე. მოვაწყობთ მწვანე კონვეიერს 3 ჰექტარზე. დამატებით გავაშენებთ 2.200 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობას. წელს დავასილოსებთ 12.200 ტონა საკვებს.
5. სამ კოლმეურნეობაში მოვაწყობთ მეკამეჩეობის ფერმას.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში

1. 1956 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმებს შევასრულებთ დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად 108 პროცენტით. მივაღწევთ ტრაქტორის გამომუშავების გადიდებას 1955 წელთან შედარებით 12 პროცენტით და თვითეული ჰექტარი ნახნავის თვითღირებულების 2 მანეთით შემცირებას.
2. სრული დატვირთვით გამოვიყენებთ თვითეულ მანქანას, არ დავუშვებთ ტრაქტორების მოცდენას. მოვაწყობთ მინდვრად ტრაქტორების ორცვლიან მუშაობას, მივაღწევთ საწვავ-საცხები მასალების ეკონომიას 5 პროცენტით.
3. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. წელს მოვამთავრებთ მეცხოველეობის 2 ფერმის მთლიან მექანიზაციას, 5 კოლმეურნეობაში კი მოვაწყობთ შრომატევად სამუშაოთა ცალკეული სახეების მექანიზაციას.

ჩაის კულტურის დარგში

1. უზრუნველვყოფთ ჩაის პლანტაციების ნიადაგის გადაბარვას, გასხვლას, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანას დაწესებული ვადებისა და ვადების მიხედვით. ჩაის პლანტაციებში ნიადაგს ვიქონიებთ მუდამ [...]

(დასასრული მე-3 გვ[...]

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1956 წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის!

მ ი მ ა ა რ თ ვ ა

ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებისა რაიონის ყველა კოლმეურნის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი

(დახასრული)

ნაწმენდილ და ფხვიერ მდგომარეობაში, ამ მიზნით ჩავატარებთ ოთხჯერად გათოხნა-კულტივაციას.

2. აღვადგენთ ჩაის 35 ჰექტარ დაღუპულ პლანტაციას და სიმეჩხერის ლიკვიდაციის მიზნით ზოლებში ჩაის დავრგავთ ან დავთესავთ 114 გრძივ კილომეტრზე.

3. ჩაის პლანტაციებში მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ჩავატარებთ ფუმიგაციას და წამლობას 150 ჰექტარზე.

4. გავაშენებთ ჩაის პლანტაციებში ქარსაფარ ზოლებს 10 გრძივ კილომეტრზე და ცოცხალ ღობეს 33 გრძივ კილომეტრზე ამა წლის 1 აპრილამდე.

5. ფართოდ დავნერგავთ კოლმეურნეობებში აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს და ჩაის უხვი მოსავლის ოსტატთა მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

6. აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ზუსტად გატარებით უზრუნველყოფთ თვითეული ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 2.150 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთლის მიღებას. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის რაიონულ გეგმას 102 პროცენტით შევასრულებთ. აპრილ მაისსა და ივნისში მოვკრეფთ 1.259.000, ივლისში —6.600.900, აგვისტოში—610.000, სექტემბერში— 21.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

მევენახეობის დარგში

1. მიმდინარე წელს კოლმეურნეობებში გავაშენებთ ვენახს 15 ჰექტარზე.

2. მოსავლიანობის გადიდების მიზნით 88 ჰექტარ ვენახის პლანტაციაში შევიტანთ ორგანულ და მინერალურ სასუქებს.

3. ვენახის მეჩხერიანობის ლიკვიდაციის მიზნით ჩავატარებთ რემონტს 20.000 ძირის რაოდენობით ვაზის გადაწვენითა და გამორგვით.

4. ჩავატარებთ ვენახის მთელ ფართობზე ბორდოს სითხის ოთხჯერ შესხურებას და გოგირდის სამჯერად შეცრქვევას.

5. შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩავატარებთ ვაზის მწნობას 60.000 ცალის რაოდენობით და სანერგის სანიმუშო მოვლით მიღწევთ სტანდარტული ნამყენი ვაზის ნერგის სულ მცირე 60 პროცენტ გამოსავლიანობას.

6. მივიღებთ ვენახის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერ ყურძენს და სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმას შეასრულებთ გადამეტებით.

ციტრუსოვანი, სხვა სუბტროპიკული კულტურეგისა და მეხილეობის დარგში

1. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სანერგეებში გავაჩაღებთ მუშაობას ციტრუსების სანერგე მასალის გამოსაყვანად. ამ მიზნით 1956 წელს დავთესავთ ტრიფოლიატს 0,3 ჰექტარზე, გადავრგავთ 7.500 ცალ სანერგს, მიმდინარე წლის ზაფხულში დავამყნით 45.000 ცალ ნერგს.

2. 1957 წელს ციტრუსების პლანტაციების აღსადგენად სანერგეებში გამოვიყვანთ არა ნაკლებ 50.000 ძირ სტანდარტულ ნერგს.

3. 1956 წელს აღვადგენთ ციტრუსოვან კულტურებს 20 ჰექტარზე.

4. ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციებში აგროტექნიკურ ვადებში ჩავატარებთ ნიადაგის გადაბარვას და ოთხჯერ გათოხნას, შევიტანთ სასუქებს და მოვაწყობთ მის წამლობას.

5. მზრუნველობით მოვუვლით კეთილშობილი დაფნის ნარგავებს, ტუნგოს, სხვა ტექნიკურ სუბტროპიკულ კულტურებს და ხეხილის ბაღებს. ვადებზე და მაღალხარისხოვნად შევასრულებთ ამ კულტურების გაშენების გეგმებს და კარგი მოვლა-დამუშავებით უზრუნველვყოფთ მოსავლიანობის გეგმების შესრულებას.

ეთერზეთოვანი კულტურეგის დარგში

1. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვალსათბურებიდან გამოვიყვანთ 10 მილიონ ძირ რეჰანის მაღალხარისხოვან ნერგს.

2. გავაშენებთ რეჰანის პლანტაციას 200 ჰექტარზე, რგვას დავამთავრებთ აგროტექნიკით მოცემულ ვადებში, უზრუნველვყოფთ 750 ტონა რეჰანის ნედლეულის ჩაბარებას.

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურეგის დარგში

1. კოლმეურნეობებში დავთესავთ ბაღჩეულ კულტურებს 9 ჰექტარზე და ბოსტნეულს — 47 ჰექტარზე, ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების მიზნით უზრუნველვყოფთ ჯანსაღი სარგავი მასალის საჭირო რაოდენობით გამოყვანას და აგროღონისძიებათა ზუსტად ჩატარებით მიღწევთ ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების მოსავლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

2. ბაღჩეულ ბოსტნეული კულტურების მოსავლის გასადიდებლად შევიტანთ თვითეულ ჰექტარზე 30 40 ტონა გადაწვარ ნაკელს და ჩავატარებთ დამატებით გამოკვებას წუნწუხით.

მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის დარგში

1. ჩავატარებთ თუთის თესვას 1,5 ჰექტარზე, გავაშენებთ თუთის 6,5 ჰექტარ სანერგე სკოლას და 30 ჰექტარ პლანტაციას. ერთეულ ნარგავთა სახით დავნერგავთ 50.000 ძირ მაღალტანიან ნერგს.

2. მყნობას ჩავატარებთ მაღალმოსავლიანი თუთის ახალი ჯიშების კვირტებით, სანერგე სკოლაში და კრონაში 300.000 ძირზე და მივაღწევთ ნამყენთა არანაკლებ 85 პროცენტის გახარებას.

3. სანიმუშოდ მოვაწყობთ სანერგეში თუთის ნათესების და სანერგე სკოლების მოვლა პატრონობას, მივაღწევთ სტანდარტული თესლნერგების და ნერგების გამოსავლიანობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, უზრუნველვყოფთ ახლად გაშენებული თუთის პლანტაციების ნარგავების სულ მცირე 95 პროცენტით შენარჩუნებას.

4. ფართოდ გამოვიყენებთ აბრეშუმის ჭიის გამოკვების ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მეთოდებს, ვაწარმოებთ დღეღამით კვებას, საჭიე ბინებში მოვლის წესების დაცვას და უზრუნველვყოფთ აბრეშუმის ჭიის მაქსიმალური რაოდენობის შენარჩუნებას და ამით სახელმწიფოს ჩავაბარებთ 160 ტონა აბრეშუმის პარკს.

ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა, ჩამორჩენილი ბრიგადა და რგოლი, რომ თვითეული კოლმეურნეობა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს თავის სამეურნეო გეგმებს და უზრუნველყოფდეს კოლმეურნეთა მაღალ შემოსავალს. გავშლით მუშაობას სოფლის კეთილმოსაწყობად, კოლმეურნეობაში სამშენებლო სამუშაოთა გასაფართოებლად. ავაშენებთ 602 სულის ტევადობის 8 საძროხეს, ერთ სახბორეს 50 სულისათვის, 2 საღორეს 186 ღორისათვის და 5 საფრინველეს 1250 ფრთა ფრინველისათვის.

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ში ფართოდ დავნერგავთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ნიერ მიღწეულ ახალ მეთოდებს, ფართოდ მოვაწყობთ მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას.

ძვირფასო ამხანაგებო! მოგიწოდებთ ჩაებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1956 წელს, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. გადაჭარბებით შევასრულოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო გეგმები, მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი სიმინდი, ჩაი, ყურძენი, აბრეშუმის პარკი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.

ვკისრულობთ რა ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ გეგეჭკორის რაიონის მშრომელებს.

ეჭვი არ არის, რომ ცხაკაიას რაიონის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და კომუნისტური პარტიის მზრუნველობას საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისათვის უპასუხებენ ახალი შრომითი მამაცობით.

ძვირფასო მეგობრებო! აღვნიშნოთ 1956 წელი, მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი, ახალი წარმატებებით.

ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეების დავალებით:

ი. ურუშაძე (საქართველოს კ პ ცხაკაიას რაიკომის მდივანი),
დ. გალათურია (ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე),
ა. კუჭალელია (ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე),
ნ. ჯოჯუა (ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე),
გ. მორჩილაძე (მტს-ის დირექტორი),
ნ. გარამია (ძველი სენაკის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის დირექტორი),
ვ. გაკურაძე (ხანის ქალნოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე),
გ. გვიჩია (თეკლათის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური),
მ. მიმინოშვილი (ცხაკაიას მტს-ის მთავარი აგრონომი),
გ. შონია (ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე),
ე. ხუხია (ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი),
შ. ჩიქობავა (ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი),
გ. ლაშქარავა (თეკლათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი),
ა. გუგუნავა (მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი),
ა. ადამია (ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე),
ვ. ბელქანია (ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მწველავი),
ვ. ბერაია (ფიჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი),
ვ. წიკლავა (გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორი),
ტ. ტუბუჩავა (ხანის ქალნოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის კრეფის ოსტატი),
ვ. ეჯიბია (საქართველოს აღკკ ცხაკაიას რაიკომის მდივანი).